ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №16

07.10.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. ზვიად კუპრავა - კომისიის წევრი;
7. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032227789-03; 04.10.2022).**

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე მისაღები შემოსულობების

პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, იზრდება შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი 43 095,6 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 25 ივლისის N04-03/68504 წერილი), გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები – 31 750,0 ათასი ლარით (იზრდება კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 65 000,0 ათასი ლარით, მცირდება სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 33 250,0 ათასი ლარით, (საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილება)), არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 30 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **104 845,6 ათასი ლარით** და შეადგენს **1 559 866,6** ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) **- 8 186,2 ათასი** ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - **99 007,9 ათასი ლარით;**
- სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) - **177,3 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - **3 177,3 ათასი** ლარით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 01 02) - **19 035,9 ათასი** ლარით;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 42)** - **479,4 ათასი** ლარი;
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - **999,9 ათასი** ლარი;
- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - **113,8 ათასი** ლარით.

დასასრულს, **გ.თალაკვაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 485 087,1ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 379 987,1 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო **61 869,5 ათასი** ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **(12-032227789-03; 04.10.2022)** საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032227789-03; 04.10.2022)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე